NEWSLETTER (May, 2015)

IDFI-ს ორგანიზებულ შეხვედრაზე ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემები განიხილეს

2015 წლის 17 ივნისს საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და ანალოგური სიგნალის გათიშვა არის დაგეგმილი, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა რჩება: ციფრული სიგნალის მიმღები სეტ ტოპ ბოქსების ბაზარზე არსებული მცირე რაოდენობა, მოსახლეობის მომზადების არასაკმარისი დონე, ციფრული ქსელის აგებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

სწორედ ამ პრობლემების განხილვას და გადაჭრის გზების გამონახვას ისახავდა მიზნად „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა.

„ქართული ოცნების“ 2 წლიანი მმართველობის შეფასება

საქართველოში მოღვაწე 15 არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართული ოცნების” ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი წლის შეფასების ანგარიში წარადგინა.

ანგარიშის “ღია მმართველობის” თავი მომზადებულ იქნა IDFI-ს მიერ. მოცემულ ნაწილში განხილულ იქნა საქართველოში არსებული მდგომარეობა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები და არსებული ხარვეზები. აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კი IDFI-ს მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში-კვლევის პრეზენტაცია

8 მაისს ახლად დაარსებულმა საინიციატივო ჯგუფმა პირველი კვლევა წარადგინა - „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“. კვლევა, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტაციას ეყრდნობა შეიცავს საქართველოში დაფუძნებულ იმ კომპანიათა შესახებ მონაცემებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები ფლობენ. კვლევის შედეგად ძირითადად გამოკვეთილია ისეთი სფეროები, როგორიცაა ენერგეტიკა, წყალმომარაგება, კომუნიკაცია, მადნეული და ნავთობი.

რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები (2009-2015)

2009-2015 წლებში რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ ე.წ. „საზღვრის უკანონო“ გადაკვეთის ბრალდებით სულ დაკავებულია 2 117 საქართველოს მოქალაქე, რომელთაგან 1 416 პირი დაკავებულია აფხაზეთის, ხოლო 701 პირი კი ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ზოლის გადაკვეთისათვის.

IDFI-ისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ უფრო ინტენსიურად გრძელდება ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. ადმინისტრციულ საზღრებთან საქართველოს მოქალაქეების უკანონოდ დაკავება როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონში.

რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა 2014 წელს შეადგინა 709,2 მლ. დოლარი, რაც საერთო ფულადი გზავნილების დაახლოებით 49%-ს შეადგენს.

რუსეთის ფედერაციაში არსებული ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე გადმორიცხვების შემცირება შეიძლება იყოს საქართველოში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დევალვაციის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

შეხვედრები საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით

13 მაისს საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა ჩატარდა საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით.

შეხვედრის ფარგლებში საპარლამენტო ღიაობის კულტურის, ინფორმაციის თავისუფლების რეგულირების, საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამარტივების საკითხები განიხილეს.

20 მაისის საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მონაწილე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრაზე, რომელსაც IDFI-ს გამგეობის თავჯდომარე, ლევან ავალიშვილი უძღვებოდა, განხილული იყო საერთაშორისო და არსამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომელიც უნდა შემუშავდეს საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმისთვის. მსგავსი, თუმცა გასვლითი შეხვედრა შედგა 23 მაისსაც.

შეხვედრები ჩატარდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში „საქართველოს პარლამენტის ჩართულობის” მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

IDFI აზიის განვითარების ბანკის 48-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე

IDFI-ს დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი მიწვეული იყო ბაქოში, აზიის განვითარების ბანკის რიგით 48-ე ყოველწლიური შეხვედრის ერთ-ერთ პანელში „სამოქალაქო საზოგადოება, მმართველობა და ინკლუზიური ეკონომიკა - ბოლო დროინდელი ვითარებები“ მონაწილეობის მისაღებად.

მან ისაუბრა „ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოს“ ფორუმის შესახებ, ასევე ყურადღება გაამახვილა ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმასა და საქართველოს მიღწევებზე OGP-ში.

IDFI-ის ხედვები საქართველოს შსს-ის რეფორმასთან დაკავშირებით

IDFI-მ, როგორ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების სამუშაო ჯგუფის წევრმა, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების, მოდერნიზაციის და საზოგადოებრივი ჩართულობის ეფექტური მექანიზმის დანერგვისკენ.

რეკომენდაციები ასახავს IDFI-ს ხედვას ორ საკითხზე: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საზოგადოებრივი ჩართულობის საბჭოს შექმნას და საჯარო დაწესებულებებში ე.წ. ,,ოდეერების" (უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრები) სისტემის გაუქმებას.

პირველადი შენიშვნები და მოსაზრებები სასამართლო რეფორმის კანონპროექტებთან დაკავშირებით

IDFI შეუერთდა კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" შენიშვნებს სასამართლო რეფორმის კანონპროექტთან დაკავშირებით. კოალიციის აზრით, კანონპროექტით გაუმჯობესებულია რიგი საკითხებისა, მათ შორის, სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევის პროცედურა, მოსამართლეთა მივლინების წესი, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები და ა.შ. თუმცა, კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების ნაწილი კოალიციის მოსაზრებით საჭიროებს დამატებით დამუშავებას.

IDFI-ს რეკომენდაციები ინტერნეტ-ბაზრის ლიბერალიზაციისთვის

2015 წლის 19-25 მაისს საქართველომ ინტერნეტის განვითარებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა.
IDFI-ის მედია და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, უჩა სეთურმა, წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე - ინტერნეტ სიჩქარის ტესტირების საკითხები და გამოწვევები მცირე ინტერნეტ-პროვაიდერებისთვის.

გამჭვირვალობის ხარისხი კვლავ გაუარესდა

2014 წელს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მიმართა ყველა სამინისტროსა და სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას. ჯამში 1185 შეკითხვა გაეგზავნა 19 სამინისტროსა და 49 სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას. აღსანიშნავია, რომ უპასუხოდ დარჩა მოთხოვნათა 22.9%.
სამინისტროები, რომლებმაც დღემდე უპასუხოდ დატოვეს IDFI-ის მოთხოვნები, არიან: ფინანსთა, იუსტიციის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები. აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს 6 და ფინანსთა სამინისტროს 2 უწყება, აგრეთვე შსს-ს დაქვემდებარებული 1 სსიპ.

ფინანსთა სამინისტროს გაუმჭვირვალობის მიზეზები

ფინანსური მონაცემების უდიდესი ნაწილი, რომლის გასაჯაროებაზეც დავა IDFI-სა და ფინანსთა სამინისტროს შორის სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში ერთ წელზე მეტია გრძელდება, მოხვდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში, როგორც საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად განკარგვის მაგალითები.
IDFI მიიჩნევს, რომ აუდიტის სამსახურმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ უწყებებს, რომლებიც საზოგადოებისთვის საჯაროს არ ხდის საკუთარი ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

IDFI ელ-დემოკრატიისა და ელ-მმართველობის კონფერენციაზე

IDFI-ის ანალიტიკოსებმა მონაწილეობა მიიღეს ბუდაპეშტში გამართულ კონფერენციაში, სახელწოდებით „ელ-დემოკრატიისა და ელ-მმართველობის დღეები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“. მათ, ბრემენის უნივერსიტეტის მაგისტრანტ დენის რედეკერთან ერთად მოამზადეს ნაშრომი თემაზე „ელ-მმართველობა საქართველოში: ელ-სერვისების მიწოდება, ელ-ინფორმირება და ელ-ჩართულობა“.

შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში (2015)

IDFI-მ მოამზადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი შშმ პირთა რაოდენობის შესახებ საქართველოში.

2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი, რაც საქართველოს საერთო მოსახლეობის (3 729.5) დაახლოებით 3% -ია, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ქვეყნების უმეტესობაში ეს რიცხვი საშუალოდ 10%–ს აღწევს.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research